

572  
1950/3

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

135



# ნ ა ნ ი რ თ ვ ე ლ შ ი



ნანის თურმე არასოდეს  
არ უნახა რთველი;  
გოგოს წილელს შუსრულდა  
მხოლოდ ტქვის წელი.

ქოდა, აი, ნანი რთველში  
წაიყვანა მამამ;  
მერე როგორ უყვარს გოგოს  
მწიფე ყურძნის ჭამა!

აი, ნანი ვუნახშია,  
ვაზებს თვალს ადევნებს  
და რას ხედავს: სათვალავი  
არ აქვს ყურძნის მტევნებს!

ნანი ლიჭრობს: როგორ შევჭამ  
აბა, ამდენ მტევანს?!  
ანდა, ქადაქს რომ წავილო,  
რამში ჩამეტევა?!

რა ქნას გოგომ, აღარ იცის,  
დგას და უტკერს ვაზებს,  
უცდის, მტევანს ვინ მონყვეტს და  
ნანის შესთავაზებს.

აგერ, ხედავს: მკრეფავები  
შეესიფნენ ევნახს  
და გაჩაღდა ყურძნის კრეფა,  
სიხარული, ღებნა.

მტევნებია მარცვალსავეს,  
გამჭვირვალე, მწიფე...  
აგისრულდა, ნანი, ნატერა,  
რას უყურობ, კრიფე!

ვიმ, რა ტკბილი ყურძენია! —  
პირი ჩაუთაფლა!  
—ნეტავ რამდენ მტევანს შევჭამ? —  
ნანიმ იწყო დათვლა.

სამი მტევნის მეტს ველარ ჭამს,  
თუმცა ბიერი უყვარს,

უკვე იგრძნო, რომ ყურძენმა  
გული მოუმსუფა.

მკრეფავები მწიფე ყურძენს  
დანით ყუნწში სჭრიან  
და მოკრეფელის კალათებით  
საწინახედში ჰყრიან.

ყურძნის უხვი მოსაყელი  
ვენახს ძლიერ უტქვს.  
და ვაზები გაკრეფილი  
გრძნობენ სიმსუბუქეს.

აუსრულდა ნანის ნატერა,  
ყურძნის ნურვაც ნახა;  
აგერ ქვევრებს დიდ მარანში  
დაულიათ ხახა;

ჩქაფაჩქუფით ყელში ჩასდით  
ტკბილი ნიაღვარი, —  
საწინახელიდან მომდინარეს  
ძლიელსა იტევს ღარი.

ნანის ყურძნის ტკბილი წვენი  
სავსე ჭიჭით ასვეს...  
ჰა, ფუტკრებიც როველს სწვევიან,  
დაგვებუიან თავზე.

ნანიმ ბებოს ჩურჩხელებით  
გაიხარა შარშან,  
წელს თვით ნახა ფეღამუში  
როგორ მოიხარშა.

და ღამაში ჩურჩხელები  
როგორ ამოავლეს;  
ტკბილის კვერის გაკეთებაც  
ნანის დაასწავლეს.

ნანიმ რით არ ჩაიტკბილა  
ბებიკოსთან ყელი?!  
გაიბახის: —ღედა, ღედა,  
რა ყოფილა რთველი!\*



გიორგი შავბაკაშვილი

## ბოდოს სინანული

კვირა დღე იყო.

ყველა დინამოს სტადიონისაკენ მიეშურებოდა. ხალხით გავედრილი ტრამვაები, ტროლეიბუსები, პრიალა მსუბუქი მანქანები ხმაურითა და განუწყვეტელი გუგუნით მიჰქროდნენ. ისმოდა საყვირის გამაფრთხილებელი ხმა და ზარის წკრიალი.

პატარა დათო ფანჯარასთან იდგა, მაღლიმალ ქუჩაში იზიარებოდა, ბაზარში წასული შშობლებების დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდა.

წასვლის წინ მამამ დაათოს უთხრა:

— შე და დედა მალე დაებრუნდებით, აბა, გაკვეთილები კარგად მოაწმადე, მერე ფეხბურთზე უნდა წაივლიეთ!

დათოს გული გადავლია ლოდინათ. უკვე ხუთი საათი სრულდებოდა, შეჯი-

ბრი კი ექვსის ნახევარზე იყო დანიშნული.

დღეს საინტერესო თამაში იქნება. მოსკოვის და თბილისის ფეხბურთელები უნდა შეხედნენ ერთმანეთს. მერე, როგორ უყვარს დაათოს სტადიონზე ყოფნა და თამაშის ყურება, თეთოთნაც ხოც ფეხბურთელია, თავის ტოლებში საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

წინა კვირას დათო შშობლების დაუკითხავად წაივლია სტადიონზე თავის ახანაგებთან ერთად. თამაშის დამთავრების შემდეგ ბიჭებმა კინოში შეუხვიეს და შინ გვიან დაბრუნდნენ. დათოს თვითნებობამ მამა ძალიან გააბრაზა. დათო დატუქსეს და მარტო სიარული აუკობადა.

დათო დანაშაულს გრძობდა, მაგრამ გულში მაინც თავს იპართლებდა: სწო-

5296



რედ იმ დღეს მამა მოუტყველად იყო, მას კი ძალიან, ძალიან უნდოდა სტადიონზე წასვლა.

აი, ახლაც ავკიანებს მამა. რა უნდა ქნას დათომ, როდემდის ელოდოს? დათომ მაგიდაზე დადებულ ფეხბურთის ბილეთებს დახედა. ამ დროს ქუჩიდან ამხანაგების ძაბილი შემოესმა:

— დათო, დათო, ფეხბურთზე არ მოიხიარ?

დათომ კედლის საათს შეხედა. საათის ისარი ხუთს აჩვენებდა. „ჩემი ბრალი არ არის, თვითონ მამამ დაიგვიანა, იქნებ სულაც არ მიდის სტადიონზე.“

ფიქრობდა დათო, ყოყმანობდა, ბიჭები კი აჩქარებდნენ:

— დათო, დათო, ჩქარა!

დათომ ერთი ბილეთი აიღო, ქუჩაში სწრაფად გაეარდა და წინ წასულ ბიჭებს დაედევნა.

დათოს მშობლები ორიოდ წუთის შემდეგ დაბრუნდნენ მანქანით. შვილის მართა წასვლით გაჯაერებულმა მამამ მაგიდაზე თავისი ბილეთი აიღო, ისევ მანქანაში ჩაჯდა და სტადიონისაკენ გაეშურა.

ამ დროს დათო ამხანაგებთან ერთად ქუჩაში მოზღვავებულ ხალხში მიაბიჯებდა და გამეღვლე-გამომეღვლეს ფეხებში ებლანდებოდა.

სტადიონამდე კიდევ დიდი გზა იყო.

დათოს ერთ-ერთი ამხანაგი ხალხით დატვირთულ, გაქანებულ ტრამვაის შეუხტა, ასისვლედი საფეხურზე ცალი ფეხით გაჩერდა, თან ბიჭებს ხელს უქნევდა:

— ბიჭებო, ტრამვაის შემოახტით, ბიჭებო!

დათო ტრამვაის გამოეყიდა, როგორც იქნა ქშენითა და გულის ფანქვლით დაეწია, კიბის სახელურს ხელი სტაცა და შეხტომა სცადა. კიბეზე ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ იყო, დათოს ფეხი

დაუსტა, ერთი შეპკიელა და პირქვე გაიშლარათ. მის ყურთან საზარლად გვირგორავს ტრამვაის ბორბლებმა. საშინელი ტკივილი იგრძნო და გონება დაჰკარგა.

თვალი რომ გაახილა, ტრამვაი აღარსად იყო. მის ირგვლივ აუარებელი ხალხი შეგროვილიყო. უცნობი მოხუცი თავს სინანულით იჩენვდა და ამბობდა:

— აი, რა მისდევს ცელქობას, ხედავთ?

— შეუხვით, შეუხვით ფეხი... ბავშვი სისხლს ჰკარგავს! — ჰყვიროდა ვიღაც ქალი.

დათომ ფეხში საშინელი გავლეება იგრძნო და გული კვლავ შეუღონდა. იგი მკირენის შემდეგ ნაცნობმა ხმამ გამოაფხიზლა: — დათო, ბიჭო, დათო! — ჩასძახოდა ვიღაც და ყურებს უსრესავდა, რომ უმაწვილი გონს მოეყვანა... დიახ, ეს მამამისის ხმა იყო. საიდან გაჩნდა ნეტავ?

აღმათ სახლში მალე დაბრუნდა, ახლა სტადიონზე მიდიოდა და...

დათომ თვალემა გაახილა და მამისთვის თვალის გასწორება ვერ გახედა, სახეზე ხელი დაიფარა და ატირდა.

— მამა... მამა...

მამამ დათო ხელში აიყვანა და მანქანისაკენ გააქანა.

„ახია, ახი, ჩემზე!“ — ფიქრობდა მანქანაში გულადმა მწოლიარე დათო, — რატომ არ დავუჯერე მამას. ახლა ხომ მასთან ერთად სტადიონზე ვქნებოდით...“

საივამყოფოში მივიდნენ.

ექიმმა ატირებული დათო ყურადღებით გასინჯა. მამას ხმამადალა რაღაც უთხრა და დათოს ფეხი შეუხვია.

ნეტავ რა უთხრა ექიმმა მამას? უთუოდ ცუდი რაღაც, ხედავთ, როგორ მოედუნა შუბლი კეთილ მამიკოს?! ვაი, თუ ფეხი მოსქრან დათოს!.. მაშინ ხომ ვეღარც ფეხბურთს ითამაშებს და ვეღარც...



ოჰ, ნეტავ ახლა გადარჩეს და!..  
დათოს თვალები ცრემლით ავესო. მა-  
მამ შუბლზე ხელი დაიდო და შვილის  
თვალებს სახე მოაჩიდა. აგერ, საიდანღაც  
დედაც გაჩნდა. ის შეშლილივით შემო-  
ვარდა ოთახში:

— დათო, შვილო, რა ქენი ეს, რა?..  
დათოს საკუთარ თავზე მეტად შეებრა-  
ლა საყვარელი მშობლები, მათ-ცქერას  
ველარ გაუძლო და თვალები დახუჭა.

აი, რა იცის მშობლების დაუკითხავად  
უგზო-უკულოდ სიარულმა და გულის-  
ხმის აყოლამ, აი, რა იცის მშობლების  
წინ ხტომამ!

ასე ფიქრობდა დათო და კაცხავდა თა-  
ვის თავნებობას!

სკოლა?.. ახლა სკოლა გაიხსენა დათომ,  
დიდხანს სკოლაშიც ველარ ივლის, ჩა-  
მორჩება სწავლას...

დათო ახლაც საავადმყოფოში წევს.  
ფეხის მოკრას გადაარჩინეს, მაგრამ  
ფეხბურთს ველარ ითამაშებს, იგი სამუდა-  
მოდ დაკოჭლდა.

ნანობს დათო თავის საქციელს, ნანობს,  
მაგრამ ხომ იცით, ბავშვებო, ბოლოს  
სინანული გვიან არის!

# პატარა დროშების სიმღერა



ზაწაწინა დროშები ვართ,  
სასეიმოდ მოკაზმული.  
ზატარების დანახვაზე  
სინხრულით ტოკავს გული.

სიღამასით, სიკვლეუცით  
არავის არ ჩამოვრჩებით.  
ზეიმის დროს ზატარებში  
ჩვენც ამაუად გამოვჩნდებით.

დღესაზწაულს მიუვლოცავთ,  
ნანას, გიას, ცხაღასა.  
დავაგიწუებთ საუვარელ ბურთს,  
დედოფაღას, ბსრიაღასა.

ვიცით, ვიცით, ჩვენთან ეოფნა  
ურჩევნით ათასწილაღ.  
სასეიმოდ დროშები ვართ,  
აღისფერი, ზაწაწინა!



თინათინ კვიციანი



მუკამან ლახანიძე

ნახატები გრ. ჩირინაშვილისა

## ჩიტირეკიები

უცებ ბუჩქებიდან დიდი ვერცხლისფერი ჩიტო წამოვიარდა, გადაფრინა პატარა შეღმართი და მერე ძნას დააფრინდა.

ბიჭებმა შეღმართი სწრაფად აირბინეს, რომ ფრინველი თვალთავან არ დაჰკარგოდათ.

— მთის ღაფოა! — თქვა ოთარმა, შეჩერდა, უბიდან რიყის მრგვალი კენკი ამოიღო და შურდულის ტყავს მოარგო.

— მიდი, შენი ჯერია! — თქვეს ბიჭებმა, მორჩილად ჩასხდნენ ნამკალში და დაელოდნენ, რა მოხდებოდა.

მთელი ორი კვირაა, რაც დათუნა და ოთარი სოფელში საზაფხულო არდადეგებზე ჩამოვიდნენ. ისინი თბილისში სწავლობენ და ყოველ ზაფხულს მთაში მოემგზავრებიან.

მშვენიერია ზაფხული მთაში; ფრინველი ბევრია და ბიჭები დიდიდან საღამომდე ჩიტებს დასდევენ, სოფელი გიგლაც აიყოლიეს მონადირეებმა და რა ვუყოთ, თუ სოფელში ყველა კარგი თვალთ არ უყურებს სახელგანთქმულ „მონადირეებს“.

აი, ახლაც, სად იყო და სად არა, მეველე გამოჩნდა ნამკალში;

ვიდრე ყანები აიკრებოდა, ბიჭები მეველეს ვრიდებოდნენ: პურსა სჯევენ ევ ჩიტირეკიებიო, — ჯავრობდა მეველე. ახლა, ნამკალში საქონელიც დაბალახობს და ბიჭებისთვის საშიში აღარ არის მეველესთან შეხვედრა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ვერცხლისფერმა ღაფომ, რომელსაც ბიჭები გულსხვრით ადვენებდნენ თვალს, მეველის მოახლოებაზე კისერი წაიკრძალა. ის იყო ნისკარტი მიუშიზნა ბუხს, რომ რაღაცამ ბურთივით აიტანა ძინს თავზე და ოთარის ყვირილიც გაისმა:

— მოვკალი, ბიჭებო, მოვკალი!

დათუნა და გიგლა ფეხზე წამოკეცდნენ. ვერცხლისფერი ბუმბული ძინს თავზე ფარფატებდა და ნელინელ ძინს ეშვებოდა. გულდაწყვეტილი ბიჭები იდგნენ და გაჟყურებდნენ ჩიტს, რომელიც ახლა წყალგაღმა მიფრინავდა. ბიჭებმა გზა სირბილით განავრძეს წყალგაღმა ყანებისაკენ.

— ჩიტირეკიები! — თქვა მეველემ.

ბიჭები მიუხაზოდნენ მაღალ ტირიფს, რომლის წვერზე დაქრილი ღაეო იჯდა. ჩიტი ახლა უფრო ფრთხილი გამოდგა: ბიჭებს ახლოს მისვლა აღარ აცალა, — გაფრინდა.

— ცალი ფეხი მომტერეული აქვს, შორს ვერსად წავა, რადაც უნდა დამიჯდეს, მოვკლა! — თქვა ოთარმა.

— როგორ მოკლა? — თქვა დათუნამ, — ვალმა ყანებში დეშვა, იქ კი პურს ეზოდებიან, შეხედე, რა ამბავია!

— ბიჭებო, ეს ხალხი მთელ დღეს შრომობს, საქმიანაა გართული, ჩვენ კი... შენიშნა გიგლამ.

შორს ძნეში ჩამწკრივებულნიყვნენ, კოლმეურნეები ურმებს ტვირთავდნენ. ბავშვების ყვილ-ხივილი წყალგამოღმა გამოდიოდა.

ბიჭები შეთანხმდნენ: წყალგამოღაც გაყოლოდნენ ღაეოს, ხალხის თანდასწრებით არ ესროლათ, შურდულები უბეში დაემალათ და ასე გაენაპირებინათ დაქრილი ფრინველი. რიყს კენჭები აკრიფეს, წყალში გაქაპუნდნენ და შეღამართს შეუდგნენ. გაცხარებული კალთობა იყო. ჩქარობდა სოცხარე პურის საერთო კალოებზე მიზიდვას; კოლმეურნეებთან ერთად სოფლად ჩამოსული ახალგაზრდობაც მუშაობდა. ერთმულისა და სიხარულის ყიყინი იდგა.

ბიჭებმა შორს, სერზე, განცალკევებულ ძნის წვერზე შენიშნეს ღაეო და გაიხარეს, ძნა განცალკევებით იდგა და მასთან ხალხი არ ირეოდა, — ამიტომ თავისუფლად შეიძლებოდა სროლა.

მაგრამ უცბად გაისმა შორის ტყავინი, მერე — ღიღინი, და ორი ურემი ძნასთან შეჩერდა. ამრეზილი ოთარი, რომელიც უკვე ახლოს იყო ღაეოსთან, ფეხზე წამოდგა და რაღა თქმა, უნდა, ჩიტი ისევ გაფრინდა.

სამივე ბიჭმა იქიდან გაცლა დააპირა,

მაგრამ მეურმეები მათი ტოლ-ამხანაგები აღმოჩნდნენ. შენიშნეს, და მხიარულად შეეხმინან:

— აქ ამოდით, ბიჭებო, აქა!

— ბიჭოს, ბესა და ჩინო ყოფილან! — შესძახა ოთარმა.

— როდის ჩამოხვედით თბილისიდან? სადა ხართ ამდენ ხანს?! — შეეკითხნენ მათ „მონადირეები“.

— მესამე დღეა, რაც ჩამოვედით, მაგრამ თბილისიდან არაა... ზღვებზე ვიყავით ბანაკად, — უპასუხა ჩინომ.

— მართლა, თქვენ რატომღა არ წამოხვედით ბანაკში? თქვენი კლასელებიც იყვნენ ჩვენთან! — შეეკითხა „მონადირეებს“ ბესა.

— ჩვენ აქ უკეთესად ვატარებთ დროს. თქვენ აი, წელან ღაეო დაგვიფრთხეთ, თორემ გაჩვენებდით ჩვენს ბიჭობას! — დაუმატა დათუნამ და ოთარს და გიგლას გადახედა, — ვნადირობთ, ბურთს ვთამაშობთ... აღრიცხვას ვაწარმოებთ, შეჯიბრება გვაქვს ჩამოსვლის დღიდან: მე და გიგლას ჯერჯერობით ას-ასი გვყავს მოკლული, ოთარს — ასოცი...

— რაზე ნადირობთ! — დაინტერესდა ბესა.

— ფრინველები.


— მინც, რა ფრინველებზე?

— ყოველგვარ ფრინველებზე! მწყერჩიტა, ბელურა, ტროლოლა...

— ჰოო, ჩიტებზე ვინადირობთ! — გაიცინა ბესამ. ოთარი ამოიხა.

— ნუ ცხარობ, — გაიღიმა ჩინომ, — აი, ჩვენც გვაქვს პატარა შეჯიბრი: მე და ბესა ორი დღეა პურს ვეზიდებით კალოზე, — ას-ასი ძნა მოვზიდეთ და ჯერჯერობით ხუთ-ხუთი შრომადღე გამოვიმუშავეთ. უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— მზე ჩასვლას აპირებს. — თქვა ბესამ, ჩინოს იდაყვი გაჰკრა და ზეზე წამოდგა,



„მონადირეებიც“ აიშალნენ. ცოტა ხნის შემდეგ მეგობრები მეზობელ სერზე შეჩერდნენ და ძნებს გახედეს. ძნები თავის ადგილზე უკვე აღარ იდგნენ. ურმები გზაზე მიაღწიარუნებდნენ ზარებს.

— საქმის ხალხია! — თქვა ოთარმა.  
— ცულ ფეხზე ამდგარაუართ ამ დილით! — თქვა გიგლაძე.

— საშინლად მომშვივდა, მოდი სოფელში დაუბრუნდეთ! — გაბედა დათუნამ.

— არა! — თქვა ოთარმა დაბეჯითებით, — შეხედეთ, ლაქო!

ბიჭებმა ოთარის თითს გააყოლეს თვალის: სერვალმა მიფრინავდა ჩიტის-ლაქო.

\* \* \*

ვახშობისას სოფელი ელნათურებმა გაანათა. დალილი, დამშეული და ხელკარილი „მონადირეები“ მდინარეს მოა-

დგნენ. ბნელოდა. ბიჭებმა ფონი ვერ იპოვეს და აღარ იცოდნენ, რა ექნათ, რომ ზურგს უკან ეყვების ელარუნი გაისმა და ორი აზვინული ურემი თავს წამოადგათ.

— რომელი ხართ?! — გაუბედავად იკითხეს ბიჭებმა.

— ჩენა ვართ, ბიჭებო, ჩენა! — იმედიანად შეეხმინენ ჩინო და ბესა. გახარებული „მონადირეები“ ურმის კოფოებზე აცოცდნენ, ჩინო და ბესა უღლებზე ჩამოუსხდნენ თავიანთ ხარებს, და წყალში გაიყვანეს ურმები. ურმებმა ქვემოუბნისაკენ გაუხვიეს, და როცა საერთო კალოდან სიცილის, ეროამულის და სალენწი მანქანის გუგუნის ხმა მოვარდა, დაქანცულ „მონადირეებს“ კოფოებზე ეძინათ.

აღმათ უსაქმური ბიჭების დევნით დალილ ლაქოსაც ეძინა სადმე ბუჩქში.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՍՊՈՐՏԻՎ ԿԵՆՏՐՈՆ

Գրքի համար: 200/200



ანა ხახუაშვილი

## დედას დაეხმარნენ

ნახატი ვ. ზელეცკაიას

სალამო ხანს ჩვენი უბნის კოლმეურნეები მინდვრიდან სახლში აღრე დაბრუნდნენ. თინას დედა კი ჯერაც არ დაბრუნებულა.

ორღობებში ციციანათელები უკვე აიშალნენ. სოფლის გოგონებმა მხიარული ჟრიალები ასტეხეს, ციციანათელებს დასაქერად გამოუდგინენ. თინა კი მოწყენილი თვალებით ორღობისაკენ იცქირებოდა, დედის ჯავრი ჰქონდა ბავშვს და ის აწუხებდა. ამხანაგებმა თინას მოწყენის მიზეზი რომ გაიგეს, თინა წინ გაიმძღვარეს და მისი დედის შექაზებულად ჩაბნელებული ორღობისაკენ გასწიეს. წისქვილის ქვემოთ ბავშვებს რალაც შრიალი შემოესმათ.

— გოგოებო, გაიხედეთ, ის რა არის?! — ხმადაბლა შეეკითხა ამხანაგებს ერთი მათგანი... — უიმი, რა ვიცი, რალაც კი მოშრიალებს და... — ჩურჩულებდნენ შეფიქრიანებული ბავშვები, შიშით ადგილიდან ვეღარ იძროდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ, მაგრამ ამ დროს შრიალთან ერთად თინას დედის ხმა მოესმათ:

რომელი ხარ, მანდ ვინა ჩურჩულებსო!

— ეს, ხომ დედაჩემიაო, — წამოიძახა გახარებულმა თინამ და გაქანდა, დედას მიეგება, ბავშვებიც გაბედულად მიჰყენენ მას.

— აი, თქვენ კი გაიხარეთ, რა კი დროს მომეშველეთ! ხბოსათვის ბალახი წამოვიღე და ისე დამალა, კინაღამ აქვე დავყარე! — მიმართა გოგონებს თინას დედამ, თოკით შეკრული ბალახი მოისხნა და თავისუფლად ამოისუნთქა. ბავშვები ბალახს მიესივნენ, ზოგმა მეტი დაბლუჯა, ზოგმა ნაკლები და მხიარული ლაპარაკით სახლისაკენ გასწიეს:

— უჰ! გული როგორ შემიქანდა! ვერ გავარკვიე შავად რა მოშრიალება.

— მე კი სულ არ მეშინოდა, ოღონდ მუხლებმა კანკალი დამიწყეს.

— ეგ არაფერი... მაინც ხომ შიშს არ შევებუეთ, დეიდა ნინოს ხელად შევეგებეთ და ტვირთი ჩამოვატალეთ...

უხაროდ ბავშვებს და ბნელი ორღობე ხალისიანი ბაასით ისე გაიარეს, მისი სიბნელე და ზოგჯერ უცნაური ფაჩი-ფუჩი სულაც არ შეუშინებიათ.



ალბერტ მალე

# თამაში

ნახატები ალ. გიგოლაშვილისა

ამ მოთხრობის ავტორი ალბერტ მალე ცნობილი ამერიკელი კომუნისტი-მწერალია. ის თავის მოთხრობებსა და პიესებში აგვიწერს მშრომელთა სავალალო მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში. მშრომელთა შვილების განწირულ და უიმედო მდგომარეობას. ამ მოთხრობაში პატარა ბიჭუნა რძეს იბარავს ავადმყოფი დისათვის. უმუშევარი მამა, რომელსაც არაერთი საარსებო საშუალება არ გააჩნია, ბავშვს ასწავლის როგორ მოიპაროს რძე, მაგრამ შემდეგ თვითონვე სინანულში ვარდება და ბავშვს ნებას არ აძლევს მეორე დღეს კვლავ მოიპაროს რძე.

—მერე კი უცებ ფურგონს დავატები ..

—რაღაც დავაგვიწყდა!

—იზა, არაფერი დამეფიქნია.

—ნამდვილად დავაგვიწყდა, — გაუმეორა  
კაცმა, — რა გემართება?

ბიჭუნამ კოპი შეიკრა და დაფიქრა. იგი ჯერ პატარა იყო, ათი წლისა. მისი პატარა სახე სიცოცხეს გველურჯებდა, თვალებს ხშირ-ხშირად ახანძამებდა, რომ გამოფხიზლებულიყო.

— პატარა სულელო, გინდა დავგიპრონ?

— რას დამიკერენ, ასეთი რამ ბევრჯერ მითამაშნია, ფიქრი ნუ გაქვს.

— აბა რა უნდა მოახერხო? წესიერად ვერც კი გითქვამს. წავიდეთ, შინ დავბრუნდეთ! — სიჩუმე ჩამოვარდა. კაცმა მძიმედ ამოიოხრა: — ეჰ, სამუშაო რომ მქონდეს, ასე ადრე ხომ არ ავდგებოდი! ჯერ ცხელი საუზმე მომხადდებოდა, შევექცეოდი საუზმეს და ტრამვაითი გავსწვდი სამსახურში, — გაოფიქრა თავისთვის. შავი ულვაშებიდან თოვლი ჩამოიბერტყა და ბიჭუნას გადახედა: — ეჰ, ძალიან ადრეა შენთვის ასეთი საქმე, პატარა მაიმუნო! ახლა შენ ტკბილ ძილში უნდა იყო. — გაიფიქრა მან.

9625

— აბა, — მიმართა ბიქს, — მოიგონე?  
ბიქმა თავი გააქნია და ნაღვლიანად შეხედა, მერე დაიხარა და ხელით თოვლი მოხვეტა.

— თოვლი რად გინდა?

— ისე, თოვლის გუნდას ვკეთებ.

— შე კი შეგონა, რომ შენი ავადმყოფი დაიკო უფრო გებრალეობდა.

— შებრალეობა კიდევ, მართლა შებრალეობა!

კაცმა ხელი ჩასქიდა ბიქს და განზე გაიყვანა.

— აბა. გაიმეორე, როგორ მოიქცევი!

— მერძვეს დავუცდო, მინამ სახლს უკან მოუვლილდეს.

— რომელ სახლს?

— აი, იმ სახლს.

— მწვანე სახლს?

— არა, იმის გადაღმა.

— რატომ მწვანე სახლს არა?

— ვიცო, მამი, ისევ თავიდან ხომ არ დავიწყებ!

— მითხარი, თორემ ახლავე შინ დაბრუნდებით.

— მწვანე სახლს როდის შემოუვლის ხოლმე მერძვე? გვერდის კარიდან უკანვე ბრუნდება! ვიცო, მამი, ფიქრი ნუ გაქვს.

— ხელები ხომ არ გაგყვინა?

— ცოტათი.

კაცმა თავისი დიდი უხეში ხელები ჩასქიდა ბიქსს ფუნჩულა თეთრ ხელებს და სრება დაუწყო.

— მერე?

— მერძვევ რომ სახლის უკან მიიმალეობა, შე გავიქცევი, ბოთლს დავიორეც და მეორე გზით გამოვბრუნდები.

— სირბილით?

— არა, ნელა.

— თუ შეგნიშნა და გამოგკიდა? მაშინ გაიქცევი?

— არც მაშინ გავიქცევი, მაგრამ ჩემს ხელს რომ ჩამეღებ, ტირილს დაიწყებ.

— ჩუ, ნუ ღრიალებ!

— უკვე ვამითბა ხელები, მამი.

— ჯიბეში ჩაიწყვე. მერე?

შე რომ ტირილს დაიწყებ, შენ მოხვალ და გამოვქომავეები. ვიცნობ საბრალო ბიქსა, დედა ავად ჰყავსო, — იტყუა...

— ჩაუ! — კაცმა ხელები დააფარა ბიქს ტუჩებზე. — თავი ისე დაიპირე, თითქოს თვალში რამე ჩაგივარდა.

ბიქმა ერთი თვალი მოხუტა, მეორე დააპყიტა. კაცმა სინჯვა დაიწყო. ვილაც უსახლკარო კაცმა ჩაუარათ. იგი ბრმასავით მიდიოდა და ფეხით მიხვეტავდა გზის პირას დაგროვილ თოვლს.

— ეს, ჩვენზე უბედურებიც არიან. — გაიფიქრა კაცმა.

— ისეთი ბარდნა დაიწყო, რომ მერძვე ვერც დამინახავს, ორ ბოთლს ავიღებ!

— წაიხურაწულა ბიქუნამ, როდესაც უსახლკარო კაცი თვალს მიეფარა.

— არა, ერთი კმარა! — კაცმა ამოიოხრა და უღოვანები ჩამოიბერტყა. — გშია?

— მშია.

კაცმა ხელი მოუჭირა ბიქუნას. — რა ვუყოთ, მეცა მშია. უნდა გააფურთხო და მუცელზე ხელი გადაისვა. — მან მართლაც გადააფურთხა და რუკელზე ხელი გადაისვა. ბიქუნამ მას მუცელზე გადაიწყო. გაიკინეს.

— ეს იმის ნიშანია, თითქოს უკვე საუხმე გვეპოოს და მძღარი იყო. არაფერია, შინ რომ მივალთ, რავეს მოვახერხებთ. ახლა მოვმზადე!

მერძვეის ფურგონი მძიმედ მიდიოდა თოვლში. კაცი და ბიქუნა კუთხეში მიიყუჩნენ.

— აბა, არ იჩქარო, შეილო, ნელა! აბა, მოენზადე!

ბიქი გაემართა, პატარა ფეხები ფიქვ თოვლში ეფლობოდა.

— თოვლი პირდაპირ თვალეზში სცემს, რატომ არ დავარბევ, რომ ქული ჩამოეფხატა? — გაიფიქრა კაცმა, პირი დაალო და მძიძველ ამოიოხრა. შერდი მღვლეარებისაგან ადი-ჩაღიოდა.

მერძვეემ სახლს შეჰოუარა. ბიჭუ წინ გაემართა, ფურგონში შექერა.

— რას აყოვნებს! — გაიფიქრა კაცმა, — ღმერთო, რამდენ ხანს მოუნდა!

ბიჭი თოვლში გადახტა და ჩქარი ნაბიჯით ჩაჰყვა ქუჩას. კუთხეში მერძვეე გამოჩნდა, კაცმა მის შეხედა. მერძვეე დინჯად ბრუნდებოდა. გაათვდა! კარგად გაათვდა ყველაფერი. შესახვევში ბიჭი შეჩერდა, მამას დაუცადა. პატარა სხე უბრწყინავდა.

— ხომ კარგად მოვახერხე, პა, მამი?

— ჰო, შეილო — უთხრა მამამ და თავზე ხელი გადაუსვა.

— ხვალ ორ ბოთლს ავიღებ; არა, მამი? ხომ შემძლია!

კაცმა არა უპასუხა რა.

— მამი! — ბიჭმა სახელი დასწია.

— რა იყო?

— ხომ შემძლია?

— რა შეგიძლია?

— აკი გითხარი!

— არ გამიგონია!

— ორ ბოთლს ავიღებ-მეთქი, ხვალ!

— არა!

— ავიღებ, შემძლია!

— არა!

უხმოდ მიდიოდნენ. მერე კაცი შედგა.

— ეს ქურდობაა! — წილილულულა მან, —

ეს ქურდობაა...

— ვიცი მამი, განა არ ვიცი, წავიდეთ, მკვი!

კვლავ განაგრძეს გზა.

— ფეხი სველი გაქვს?

— ისე, ცოტათი.

— საშუაოს რომ ვიშოვი, ფეხსაცმელს

გიყიდი. მაშინ აღარ დავისევლდება ფეხი! — კაცი კვლავ შედგა.

— ხომ იცი, რომ ქურდობა სისხმაღლეა?

— როგორ არ ვიცი, მამილო!

— რე იმიტომ აიღე, რომ ავადმყოფი და გიკვდება...

— ვიცი.

— ჩემს ღლეში არაფერ მომიპარავს...

— განაგრძო კაცმა. — ღლედალავე ვმუშაობდი, წელეზზე ფეხს ვიდგამდი. ვარჩინდი კიდეც ოჯახს. მე კარგი მუშა ვარ...

— ვიცი, მამი, შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე ქურდი არ ვიქნები; ვიცი, რომ ქურდობა სისხმაღლეა. გავიზდება და შენსავით ღონიერი მუშა ვიქნები.

მამამ თვალეზში შეხედა შვილს. „შენი ხნისა შენზე გაცილებით მაღალი ვიყავი!“ — გაიფიქრა თავისთვის. — „საბრალო ბიჭუნავ, საშუალებას არ გაძლევენ, რომ გიხარდო, ძვალ-ტყავად გაქცივენ!“

— წავიდეთ, მამი, გავიყინე!

ისინი კვლავ გაუდგნენ თოვლით დაფარულ გზას.

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ პელიძემ





## ხუან სიო

ჩინური ხალხური ზღაპარი

ძალიან დიდი ხნის წინათ, ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა ღარიბი ქაბუჯი, რომელსაც ხუან სიო ერქვა. იგი დიდიდან საღამომე შრომობდა, მაგრამ საკმაო საცემები მინც არ გააჩნდა. ხუან სიოს სხვა გზა არ ჰქონდა, თავის მდიდარ ბიძას დაუდგა მოჯამაგირედ.

ერთხელ, როცა ხუან სიო ფრინველებს საცენს უყრიდა, მოფრინდა ქორი, მოიტაცა ყველაზე უფრო დიდი და მსუქანი ქათამი და გაფრინდა დასავლეთისაკენ. ქორი დაბლა-დაბლა მიფრინავდა. ხუან სიო გამოეყიდა და თვალს ადევნებდა, სად დაეშვებოდა ქორი, რომ მისთვის ქათამი წაერთმია. ქორი კი სულ შორს, შორს მიფრინავდა. ბოლოს იგი დაეშვა ერთ ბღში, სადაც მალალი დიფერადი ყვავილები ხარობდნენ. ხუან სიოა ლომებზე გადახტა და ყვავილებს შორის დაინახა ულამაზესი ქალიშვილი. ქალიშ-

ვილმა საღამოს ცასავით ლურჯი, მობზილავი თვალები შეინათა ლამაზ ქაბუჯს. და მათ ერთი შეხედვისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი.

- რა გქვია? — ჰკითხა ხუან სიომ.
- იუან მეი! შენ რაღა გქვია?
- ხუან სიო!

— მე შემეყვარდი, ხუან სიო, და მინდა ცოლად გამოგყვე. ამიტომ მიმჩემთან შეამავლად გამოგზავნე რომელიმე პატივსაცემი ადამიანი.

სიხარულისაგან თავბრუდამხვეული ხუან სიო საბლში დაბრუნდა და ბიძას სთხოვა შეამავლად წასულიყო.

იუან მეის მამამ, როცა გაიგო ხუან სიოა ღარიბიო, შეამავალს ასე უპასუხა:

— თუ კი მას სურს ჩემი სიძე გახდეს, უნდა გამოგზავნოს ნიშნობის საჩუქარი: ოქროს ათი აგური, ერთი საწყაო ოქროს ცერცვი, სამი წითელი თმის ღერი და

ისეთი მარგალიტი, რომელიც წყალს გა-  
ურბის. თუ არა და — ჩემს ქალს არ გვა-  
ტან!

ამ პასუხის შეტყობისთანავე, ხუან სიამ  
გადაწყვიტა ბრძენთან წასულიყო და რჩე-  
ვა ეკითხა.

შორი და ძნელი გზა უნდა გაერა  
ხუან სიამს, მაგრამ მაინც მხნედ გაეშურა.

ბევრი იარა, თუ ცოტა, მიადგა დიდ  
ქალაქს და ხედავს: ხალხი კედელს აშე-  
ნებს. როცა მათ გაიგეს ხუან სიამ ბრძენ-  
თან მიდისო, სთხოვეს:

— ბრძენს ჰკითხე, რატომ ვერ ვაგვბთ  
კედელს ამ ადგილას? იგველიე ყველაფე-  
რი დაეამთაერეთ, აქ კი კედელი ინგრე-  
ვა!

ხუან სიამ დაჰპირდა ამ თხოვნის შეს-  
რულებას და გზა განაგრძო. ერთ სო-  
ფელზე გაელისას გლეხები შემოხედნენ და,  
როცა გაიგეს ხუან სიამ ბრძენთან მიდი-  
სო, სთხოვეს:

— ჩვენს სოფელში ალუბლის ხეა, ყო-  
ველ წელს ჰყვავის და ნაყოფს კი არ  
ისხამს, ჰკითხე ბრძენს, იქნებ რამე გვიშ-  
ველოს!


ხუან სიამ გლეხებს დაჰპირდა ამ  
თხოვნას შეგირულებთო და გზა განა-  
გრძო.

ბოლოს ერთ სახლს მიადგა, კიშკართან  
მოხუცი იჯდა. მოხუცმა, როცა გაიგო,  
ხუან სიამ ბრძენთან მიდისო, სთხოვა:

— ჰკითხე ბრძენს, როგორ მოვარჩინო  
ჩემი ქალიშვილი? იგი უკვე თერაპეტი  
წლისაა, ლაპაზიც არის, მაგრამ არაინ  
თხოულობს, რადგან მუნჯია.

ხუან სიამ მოხუცს დაჰპირდა თხოვნას  
შეგირულებო და გზა განაგრძო.

ბევრი იარა ხუან სიამ, ცხრა მთა გა-  
დაიარა, უდაბნოც გადალახა და ბოლოს  
ოკენის ნაპირს მიადგა. შეჩერდა და ხმა-  
მალა დაიწყო მსჯელობა, თუ როგორ



გადაეცურა ოკენე, რომ ბრძენთან მი-  
სულიყო. მის ლაპარაკს ყური მოჰკრა  
დიმა, შვემა კუპ, მოცურდა ნაპირთან  
და უთხრა:

მე გადაგიყვან ოკენეზე, მხოლოდ  
სთხოვე ბრძენს, როგორ მოვიქცე, რომ  
ზღვის ფსკერზე ჩავიდგო.

ხუან სიამ კუ, დაჰპირდა თხოვნის შეს-  
რულებას, მოაჯდა ზურგზე და ოკენე  
გადასცურა.

მალე ბრძენის სახლს მიადგა.

ბრძენმა ჰკითხა ხუან სიამს: რისთვის  
გარჯილხარო. ის იყო, ხუან სიამ და-  
პირა ბრძენისათვის ეკითხა, თუ როგორ  
ეშონვა საქორწილო საჩუქარი იუან მისი-  
თვის მისარძმევად, მაგრამ მოაგონდა,  
რომ სხვებსაც დაჰპირდა შეფლის და ბრძენს  
ჯერ ის გადასცა, რაც სთხოვეს, მოხუცმა,  
კუპ, გლეხებმა და ქალაქის მცხოვრებლე-  
ბმა.

ბრძენმა თქვა:

— ქალაქის კედელი არ შენდებია იმი-  
ტომ, რომ იმ ადგილს მიწაში ჩათლუ-

ლია ოქროს ათი აგური. ალუბლოს ხე იმტომ არ ისხამს ნაყოფს, რომ მის ქვეშ არის ოქროს ცერცვით საფეხ საწყაო. მოხუცის მუნჯ ქალიშვილს თმებში სამი წითელი თმის ღერი აქვს, ის ამოაგლიჯე და აღაპარაკდება. კუს ხახადან ამოულე მარგალიტი, რომელიც წყალს გაურბის და კუ ზღვის ფსკერზე თავისუფლად ჩაყა. ხუან სიამო ყველაფერი ყურადღებით მოისმინა.

— კარგია, — განაგრძო ბრძენმა, — რომ სხვების თხოვნა შეასრულე. მათ დაეხმარები და შენც მიიღებ, რაც გჭირდება. ხუან სიამო მადლობა ვადაუხადა ბრძენს და მზიარულად გამობრუნდა.

ვეებერთელა შავი კუ დიდხანს მოელოდა ხუან სიამს, დაინახა თუ არა, ჰკითხა:

— რა გითხრა ბრძენმა?

— ვადამიყვანე იმ ნაპირზე და გეტყვი.

როგორც კი დაადგა ფეხი ხუან სიამო მეორე ნაპირზე, კუს ხახა დადებინა, ამოაცალა იქიდან მარგალიტი, რომელიც წყალს გაურბოდა. კუმ იმ წამსვე ჩაყვინთა. ხუან სიამო შეინახა მარგალიტი და ღილინით გზა განაგრძო.



მოხუცი მას უკვე ჰიშვართან ელოდებოდა.

— რა გითხრა ბრძენმა? — ჰკითხა მან.

— მიმიყვანე შენს ქალიშვილთან, მე მოვარჩენ!

ხუან სიამო ქალიშვილს თავიდან ამოადრო წითელი თმის სამი ღერი და ქალიშვილი მაშინვე აღაპარაკდა. სიხარულისაგან ცრემლმორეულმა მოხუცმა და ქალიშვილმა მადლობა ვადაუხადეს ხუან სიამს, მან კი გზა განაგრძო.

მოვიდა სოფელში, სადაც მოუთმენლად ელოდნენ გლეხები.

— რა თქვა ბრძენმა? — ჰკითხეს მათ.

— მაჩვენეთ, სად არის ალუბლის ხე და ისე მოვაქცე, რომ ნაყოფი მოისხას. ხუან სიამო ალუბლის ხესთან მიიყვანეს. მან მოთხარა მიწა, ამოიღო იქიდან ოქროს ცერცვით საფეხ საწყაო და ხეილმა მაშინვე მწიფე ალუბალი დაისხა.

გლეხებმა არ იცოდნენ, როგორ ვადაუხადათ მადლობა ხუან სიამსათვის; ის კი მზიარულად დაემშვიდობა და გზა განაგრძო. ქალაქის მცხოვრებნი მოუთმენლად მოელოდნენ ხუან სიამს გამოჩენას.

— რა თქვა ბრძენმა?

ხუან სიამო პასუხის ნაცელად მივიდა იმ ადგილას, სადაც ყველგი იჩგრეოდა, ამოთხრა მიწიდან ოქროს ათი აგური და თქვა:

— ახლა შეგიძლიათ ააშენოთ კედელი!

ხალხმა კედელი ააშენა. კედელი მაგარი გამოდგა და აღარ დაინგრა. ხუან სიამო კი ამ დროს სახლში მიჩქაროდა, ბედნიერი იყო იმითაც, რომ სხვებს დაეხმარა და ბედნიერი იყო იმითაც, რომ იუან მერი მალე მისი ცოლი გახდებოდა.

იუან მერს ბამამ საჩუქრები რომ მიიღო, მეტი რა გზა ჰქონდა, დაპირება შეასრულა.

დიდი ქორწილი ვადაიხადეს.

ხუან სიამო და იუან მერი ტყბილად და მზიარულად ცხოვრობდნენ და კმაყოფილნი იყვნენ ბედისა.

„მატარებლობა“

ხალხური თამაშობა

ზაფხულის არდადეგები დამთავრდა, ბავშვები სკოლაში დაბრუნდნენ, სწავლა დაიწყო.

აგარაკიდან დაბრუნებულ ოთარს, გიორგი მასწავლებელმა ფიზკულტურის გაკვეთილზე სთხოვა, რომ ამხანაგებისათვის ესწავლებინა ის თამაშობა, რომელიც მან სოფელში ისწავლა.

ოთარს ბევრი ფიჭვი არ დასჭირდა, მან ბავშვებში აეთანდლი შეარჩია, განზე გაუყვანა და საიდუმლოდ მოეთათბირა.

შემდეგ ოთარი და აეთანდლი ერთიმეორის პირისპირ დადგნენ, ერთმანეთზე ნახევარი ნახევრის და შორებით, თითო ხელი მაღლა ასწიეს, ხელი-ხელს ჩასკიდეს და ამას „გვირაბი“ უწოდეს. ყველა მოთამაშეს სათითაოდ ატარებდნენ ამ „გვირაბში“ და თან ეკითხებოდნენ: „საზაფხულო ვაგონი გირჩევნია, თუ საზამთრო?“ მოთამაშეთაგან ზოგმა ერთი ირჩია, ზოგმა მეორე.

როცა „გვირაბში“ ყველა მოთამაშემ გაიარა, ოთარმა გამოაცხადა: „მე და აეთანდლი ვართ „ელექტრომავლები“, დანარჩენები კი „ვაგონები“, ვინც ზაფხულის ვაგონი არჩია, ჩემია, ვინც ზამთრისა—აეთანდლისაო“.

ამის შემდეგ მან მიწაზე ხაზი გაავლო, ხაზის იქით-აქეთ ის და აეთანდლი დადგნენ და ხელები ერთი-მეორეს ჩასკიდეს, მათ უკნიდან, ერთი-მეორის მიყოლებით, თავთავიანთი მოთამაშეები ჩაებნენ და მასწავლებლის ნიშანზე ერთმანეთის გადაწევა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ აეთანდლის მხარეს ორი მოთამაშით მეტი მოხვდა, ვერც ერთმა მხარემ ვერ გადასძლია, მაგრამ მაღე ოთარმა ხერხი გააოიყენა, მთელი ტანით უკან გადაიხინჯა და მისმა მხარემ აეთანდლი მისი მოთამაშეებიანად თავის მხარეს გადასძლია.

ამის შემდეგ ბავშვებმა ახალი „ელექტრომავლები“ აირჩიეს და თამაში გაიმეორეს. ამ თამაშს თურმე „მატარებლობა“ ჰქვია.

ჯაკარია შერაზადიშვილი



ხილის ბაღი

ა მ ო ც ა ნ ა

ხილის ბაღი გააშენეს  
ვასიკომ და დალიმ.  
დარგეს მსხალი, ვაშლი, ნუში,  
ქლიავი და ბალი.

მათ სოფლიდან მოუვიდათ  
ეს ნერგები ყუთით:  
დალიმ დარგო შვიდი ნერგი,  
ვასომ—მეტი ხუთით.

ხეხილებს რომ გაეხარათ,  
რა არ მოიგონეს!—  
უვლიდნენ და დაჰხაროდნენ,  
არ ზოგავდნენ ღონეს.

ყინვისაგან გახმა ბაღში  
მხოლოდ ერთი ბალი;  
რამდენი ხე ახერგეს  
ვასიკომ და დალიმ?



დავით ძეჭამიძე



49 ДИЛ ПРА  
ГОСУДЛИЧ В.КА  
1 17

საქართველო  
საბჭოთა

ყოველ კვირას ნიკას მამა  
სანადიროდ დადის.  
სახლში რჩება: ნიკა, შიპი,  
თოჯინა და დათვი.

აი, ახლაც თუმცა ნიკა  
ხეწნით დაიღალა,  
მამამ ბიჭი სანადიროდ  
თან არ წაიყვანა.

ჩამოიღო გულმოსულმა  
საყარჯის თოფი

და ცხრა ფუნჯი მიასალა  
დათვის და იმის „ლობილს“.

მეგრამ შერცხვა, — ბიჭმა ცხრიდან  
ცხრავე დააკოლა  
და ეშმაკი დიციონა  
გულით გააქინა.

შიამ უთხრა: შენ რომ მართლა  
მონადირე იყო,  
სანადიროდ წაგეყვანდნენ,  
ჩემო მამო ნიკო!



უდაბნო: „რ თ ვ ე ლ ი“ — ნახტი უჩა ჯადარძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ მარგიაწი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეც. ბურჯინაძე,  
ო. გრაიშვილი, თ. თუმანიშვილი, მ. აუ. მრეველიშვილი, თ. სახარულიძე, ნ. უნაქოშვილი, შ. ცხადაძე.

Д. П. А. — еженедельный детский журнал ЦК ВКРМ ГРУЗИИ № 10, Октябрь 1960 г. Тбилиси, Денина 14. Изд. „Коммунист“  
გამომცემლობა „კომუნისტ“, რედაქციის მისამართი: თბილისი დენისის 14. 3 ხაზი ტყე. 8-87-38 გამომცემლობის შენობა № 91 ტბაშის ქუჩა  
№ 1309/2289 გინაკი 21.60 უფასო 5 შან. ტექსტი ამჟობილია ე. პ. ბუჩას სახელობის პოეტურ-ეკუმენიკურ აკოშინისტიკურ სტამბაში  
ყველანი გაბეჭდილია ოქტომბრის ხისტების მანქანებზე „პრობა უსტოკას“ სტამბაში. თბილისი, რესპუბლიკის ქროსი. № 42.

33